ამონაწერი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი **N4**-დან

10.11.2023

საბჭოს 169 წევრიდან ესწრებოდა 86 წევრი.

დღის წესრიგი:

2. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის არჩევნებთან დაკავშირებით (ლ. თარგამაძე).

2.მოისმინეს საბჭოს თავმჯდომარის ლ.თარგამაძის ინფორმაცია. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნებთან დაკავშირებით.

მან საბჭოს წევრებს გააცნო განაცხადი ფაკულტეტის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩევნების დანიშვნის შესახებ (თან ერთვის) და აღნიშნა რომ საჭიროა ამ ინფორმაციის ელექტრონულად გადაგზავნა ფაკულტეტის საბჭოს ყველა წევრისთვის.

დაადგინეს: 1. განაცხადი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩევნების დანიშვნის შესახებ გადაეგზავნოს ელექტრონულად ფაკულტეტის საბჭოს ყველა წევრს.

2. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად დაინიშნოს არჩევნები 2023 წლის 4 დეკემბერს;

3. კანდიდატებმა განცხადება და თანდართული დოკუმენტები უნდა შეიტანონ 2023 წლის 20 ნოემბრიდან 27 ნოემბრის ჩათვლით ფაკულტეტის საარჩევნო კომისიაში - თბილისი, კოსტავას, 69, სტუ-ს II კორპუსი, მე-3 სართული, კომპიუტერულ ცენტრში განცხადებები მიიღება 10 საათიდან 17 საათამდე, შაბათ-კვირის და უქმე დღეების გარდა.

4. კანდიდატთა მიერ სამოქმედო გეგმის საჯაროდ წარდგენა ფაკულტეტის საბჭოში დაინიშნოს 2023 წლის 01 დეკემბერს.

5. განცხადება არჩევნებთან დაკავშირებით განთავსდეს ფაკულტეტის ვებ-გვერდზე და გამოიკრას თვალსაჩინო ადგილზე.

დადგენილება მიღებულია ერთხმად.

საბჭოს თავმჯდომარე, ასოც. პროფ. ლ.თარგამაძე

საბჭოს მდივანი, პროფ. ნ. გელოვანი

ამონაწერი სწორია, პროფ. ნ. გელოვანი